

# წიგლიწიგლი

10  
1982



ტახტის მკვრივად



# არაპინ უმერსა ირგვლივ!

სადღეგრძელომ, მთელი საქართველო თუ არა, ნახევარი მაინც შეინირა!.. ალბათ, არც ერთ გარეშე თუ შინაურ მტერს არ აუოხრებია ქართველი ხალხი ისე, როგორც სადღეგრძელომ, ერთმანეთის გაუთავებელმა ქება-დიდება!.. ორას წელს ბატონობდა ჩვენში სპარსი, მეორე ორას წელს არაბები სწოვდნენ ჩვენს სისხლს!.. არც მონღოლებისაგან დაგვდგომია კარგი დღე! მოგონებაც არ მინდა ჩვენი ისტორიის ცალკეული შემზარავი ეპიზოდებისა, მაგრამ სადღეგრძელომ მაინც სულ სხვა ჰქნა!.. მტერი, ბოლოს და ბოლოს, თავის ბუნაგში შეძვრებოდა, სადღეგრძელო კი სადღეგრძელოს მისდევდა!.. დროთა განმავლობაში ქართული სუფრის ადათი ფრთებს ისხამდა და ურყევი და მტკიცე ხდებოდა!..

სანამ ხალხში გავრეოდი და ქართული სუფრის გემოს გავიგებდი, მეც ვიღვწოდი, მეც ვაკეთებდი ერთი კაცის გასაკეთებელ საქმეს!.. მეც მყავდა ნათესავი, მეგობარი, მეზობელი!.. მქონდა სახელი, დიდება!.. არ მაკლდა თაყვანისმცემელი!.. მაგრამ სხვა ვინ ამცდარა ამ ბედს და მეც გავეხვიე ჩვენი სადღეგრძელოების ქარცეცხლში!..

მოგესხენებათ, ქართულ სუფრაზე მხოლოდ უნდა აქო და ადიდო კაცი, თუნდაც იგი შენი მოსისხლე მტერი იყოს!.. პირველად მეუხერხულებოდა, საკუთარ თავზე რომ ამდენ სახოტბო სიტყვას ვისმენდი, მაგრამ თანდათან გამიტკბა და ჩვეულებრივ მოთხოვნად მექცა ჩემი ქება-დიდებას მოსმენა!..

ნათესავების სუფრაზე ირკვეოდა, რომ ჩემისთანა მოყვასი მეორე არ იყო ჩვენს სანათესავოში, რომ ყველას ჩემით ედგა სული, რომ მუდამ მათთან ვიყავი ჭირსა თუ ლხინში!..

მეგობრების სუფრაზე ხომ სიტყვას ვერ პოულობდნენ ჩემს სადიდებლად!.. ირკვეოდა, რომ მეგობრობისათვის ვიყავი გაჩენილი ამქვეყნად!..

მეზობლებს თუ დავუჯერებდი, თურმე, ჩემისთანა სამეზობლო კაცი არ დაბადებულა, არც არის და არც დაიბადება!.. ამომავალი მზე ვყოფილვარ, თურმე, მეზობლებისთვის!..

ასეთივე საყვარელი და სანატრელი ვიყავი კოლეგებისთვისაც!..

ადამიანი ვარ და, გამიტკბა სუფრა! მომწუსხა ქება-დიდება! გადიოდა ხანი და, უფრო მაჯადოებდა სადღეგრძელო! უფრო ვეშვებოდი მის თბილ და ტკბილ მორევში!.. ბოლოს შევატყვე რომ დრო აღარ მრჩებოდა ნათესავის, მეგობრის, მეზობლისა თუ კოლეგისათვის! ვიცლიდი მხოლოდ სადღეგრძელოთა მოსასმენად! საოცრად შემიყვარდა საკუთარი თავი! ქეიფიდან შინმო-სული, რამდენჯერ დავმდგარვარ საათობით სარკის წინ!.. ყურში სულ ჩემი განმადიდებელი სიტყვები ჩამესმოდა, — სიზმარი იქნებოდა ეს, თუ ცხადი!..

უმალღესი ნეტარების ჟამს ჯერ ერთი ნათესავი დავკარგე, მერე — მეორე, მესამე!

ჯერ ერთი მეგობარი შემომეცალა, შემდეგ — მეორე, მესამე!..

ჯერ ერთმა მეზობელმა მაქცია ზურგი, შემდეგ — მეორემ, მესამემ!..

ჯერ ერთი კოლეგა გამიდგა განზე, შემდეგ — მეორე, მესამე!..

მოგესხენებათ, თუ ნათესავი დავკარგე, ნათესავურ სუფრაზე ვერ მოხვდები და, ნათესავის მაგივრად, ვერავინ შეგასხამს ხოტბას!..

თუ მეგობრები დაკარგე, მეგობრების ნაცვლად, სხვა ვერავინ დაგლოცავს!..

თუ მეზობლებმა გაქციეს ზურგი, ვერც მათ მაგივრად განგადიდებს ვინმე!..

თუ კოლეგებმა ზურგი გაქციეს, მათ ნაცვლად, ვერავინ შეაფასებს შენს ღვაწლს!..

დღეს არავინ შემრჩა ირგვლივ — არც ნათესავი, არც მეგობარი, არც მეზობელი, არც კოლეგა!.. ვინ დამლოცავს?!.. ვინ შემასხამს ხოტბა-დიდებას?!..

არც არავინ მპატიუბს გაშლილ სუფრაზე და ვერც მე ვახევ ვერავის კალთას!..

ნოზაღი ბართაია

ქაიათა ღიმილი

## ჩვენი სტუმარი ული ლატვიური „დაძისი“

რა არის „დაძისი“?



დაძისი, უბრალოდ, მცენარეა — ეკალ-ბარდი. „დაძისი“, ბრჭყალებში, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობის ჟურნალია. ეკალ-ბარდი, მოგესხენებათ, ეკლებიანი მცენარეა, მწარედ იკბინება, ხელს თუ ახლებს! მწვავე

და მსუსხავი სურს იყოს ჟურნალსაც, რათა თავისი სახელი გაამართლოს.


„დაძისი“ ებრძვის იმავე უწესრიგობასა და უმსგავსოებას, რასაც „ნიანგი“. მართალია, ნიანგი, უბრჭყალებოდ, სიდიდით ბევრად აღემატება დაძისს, მაგრამ „დაძისი“, მთელი ოთხი გვერდით, უფრო სქელია. ვიდრე „ნიანგი“. ეს, ალბათ, იმიტომ რომ „ნიანგი“ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ომის ბილიკზე გამოვიდა ჯერ კიდევ 1923 წელს, ხოლო „დაძისი“ მხოლოდ 1957 წელს და ამიტომ. რაც შეიძლება, მალე უნდა აინაზღაუროს დანაკლისი!

„დაძისი“ 15 კაცი „აკეთებს“, მათ შორის ორი — ადამიანთა მოდგმის მშვენიერ ნახევარს განეკუთვნება, ორიც — სახვითი ხელოვნების სამყაროს. „დაძისი“, „ნიანგის“ მსგავსად, თვეში ორჯერ გამოდის. მისი ტირაჟია 108 ათასი ცალი.

აი, რამდენიმე სიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ იცინიან და იღიმებიან ლატვიაში „დაძისის“ კითხვისას.

ანტონ სონდორსი

ჟურნალ „დაძისის“ პასუხისმგებელი მდივანი.



### ეკლიან გზაზე

საგავშვო ბაღში ბებოს დაჰყავდა.. ხელჩაიდებული, სკოლაში დედას მიჰყავდა.. „უიგულოთ“, უმალღესში ბიძამ მოაწყო.. ნაცხობობით, დიპლომი სპეციალისტმა დაუწერა.. სათანადო ანაზღაურებით!..

უმალღესის შემდეგ კარგ ქარხანაში მოხვდა. მისცეს ბინა, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს, მუშაობდა ცუდად — უინტერესოდ!..

სამუშაოდან გაათავისუფლეს.. საკუთარი სურვილით. ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრებაში!..

ა. ლეინუი



### კლავიაში

**შემოქმედებით** მუშაკთა კავშირმა კონკურსი გამოაცხად. საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებზე ღირებულებით — „მით უფრო შორს და მით უფრო მაღლა!“ მრავალნაწილი პოეტმა ბარძეკისმა გადაწყვიტა, ახლა კი დროა, პირველი პრემია მივიღო და ამოქმედდეთ იმის შიშით, პრემია მის უახლოეს მეგობარსა და თანამოაზრეს პოეტ ბარძეკისს რომ არ მიეღო, ადგა ქუჩის შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა.

„მაგ უფლებური პოეტის, ბარძეკისის, ნაცოდვილარი — „სალამი მზეს!“ უსინდისო პლაგიატი. ორიგინალი გამოქვეყნებულია ჩინურ ენაზე.

თქვენი კეთილის მსურველი.“  
არანაკლებ მრავალნაწილი პოეტმა ბარძეკისმაც გადაწყვიტა კონკურსში გაემარჯნა. მან ქუჩის მისწერა:

„ვაიპოეტის ბარძეკისის ლექსი — „სალამი ცისკარს!“ — საცოდავ. პლაგიატია. გადაწერილია იაპონურ ენაზე გამოქვეყნებული პოეზიდან პოეზიის მოცარული.“

დრად პატივცემული ქუჩის წევრებს შორის არავინ აღმოჩნდა. არც ჩინურისა და არც იაპონურის მცოდნე, ამიტომ ანონიმური წერილების ავტორთა მტკიცებულების შემოწმება არ მოხერხდა. მაგრამ ქვემოთ მოწოდებული სიგნალების გათვალისწინება საჭიროდ ჩათვალეს — არავითარი პრემიები არ მიუნიჭებიათ არც ბარძეკისისათვის და არც ბარძეკისისათვის, პირიქით, საჭიროდ გაცივებს ორთავე!

პირველი პრემია მიენიჭა ახალგაზრდა და ღიმილი იმედის მომცემ პოეტს ბარძეკისს, მრავალნაწილი პოეტების — ბარძეკისისა და ბარძეკისის საუკეთესო მოწაფეს ბარძეკისმა თავისი პოემა — „სალამი მზეს და სალამი ცისკარს!“ — გადაწერა ლატვიურ ენაზე გამოქვეყნებული ორი ლექსიდან.

ზ. აბისი

● **ადამიანს** არ შეუძლია უძილოდ გაძლება, განსაკუთრებით — სამსახურში.

● **იღავა** და დანაძლევდა, მთელ წელიწადს არ ვიღავებო.

● **ცნობრება** ყველას თავის ადგილს მიუჩენს, თუ უკვე დაკავებული არაა.

● **გონებრივ** შრომას დიდი ღონე უნდა.

● **მრავალსიტყვიანობა** იმათ ახასიათებთ, ორი ღერი სიტყვით მეტი რომ არ გააჩნიათ.

● **მორცხვობა** ააშუალებას არ აძლევდა, თვალეში ჩაეხედა სიმართლისათვის.

● **პრაქტიკულად** დაამტკიცა, რომ ამქვეყნად არაფერი არ არსებობს ისეთი, რისი გაკეთებაც ცუდად არ შეიძლება!

● **წარსულიც** ოდესღაც აწყო იყო.

● **როცა** საკუთარ თავს ელაპარაკები, მოსაუბრის აუღელობას ნუ უჩივი!

● **სისულელეს** მხოლოდ ჰკვიანებ, აპატიებენ ხოლმე.

● **მოდი** და, გაუგე ადამიანს: აიდელებს წარსულს, ნათელი ფერებით ხატავს მომავალს, აწმყოს კი არ აფხავს.

● **სასწაული** რომ დაიჯერო, იგი უნდა ნახო!

● **თითოეული** პიროვნება ადამიანია,

ნია, მაგრამ ყველა ადამიანი როდია პიროვნება.

● **ჩამთან** ხუმრობა არას გარგებს — მე პოტენციური ნიანგი ვარ! — თქვა ხელიკმა.

● „**ღია** კარის ღრე“ არ შედგა! — კარი არ იყო.

● **ტრავმის** მიზეზი შეიძლება იყოს ოცნების კოშკიდან ჩამოცვენილი აგურებიც.

● **ფრთიანი** სიტყვები ძნელი დასამახსოვრებელია. ერთ ყურში რომ შეფრინდებიან, მეორედან გამოფრინდებიან ხოლმე.

● **ხელოვნება** მსხვერპლს მოითხოვს, და რამდენი არიან ისინი — მკითხველებს, მამენელებსა და მაყურებლებს შორის!


● **ჰვის** ხანაში გრაფომანები გაცილებით ნაკლები იყვნენ — მწერლობას ღვესი ღონე სჭირდებოდა.

● **საპუტარი** სინდისის წინაშე აღმოჩნდა და მაშინლა მიხვდა, რარიც ცუდ საზოგადოებაში უცხოვრია.

● **აზრის** სიღარიბეს მრავალწერტლებით ნილბავდა.

● **გელოტს** შეუძლია, დამშვიდებული იყოს — მისი სიცოცხლე არასოდეს დაეკიდება ბეწვზე.

● **თუ** შეატყოთ, ფრთები მეზოდებაო. პარაშუტეც იზრუნეთ!



### ანდაზები კომენტარებით

● **რკინა** გამოკვეთე, სანამ ცხელია! (თუ გეზარება, გაცივებას დაელოდე!).

● **მითხარი**, ვინა ხარ შენ და გეტყვი, ვინ არის შენი მეგობარი! (კარგი იყო, ადრე მცოდნოდა! — კარგ ხალხს დაუშვებობრდებოდი!).











„მოვწყვითა კიტრი ოქროსო,  
ლოგიო — მარგალიტისაა!“

ნახ. მ. აბაშიძისა



— ვაჰ, შენ რა კარგი საქონელი მიგვიღია!..

## აუკარა— დაუჯერებელი!

(კომენტარებით)

● **როგორც** გაირკვა, ხაჭაპური ეტიმოლოგიურად ხაჭოიანი პურია, მაგრამ ზოგიერთი სახაჭაპურის ნაწარმში დაკვირვებულმა კაცმა, შეიძლება, ახლაც აღმოაჩინოს ყველის ნიმუში (ეს იქ, სადაც ნამუსი კიდევ შემორჩათ!).

● **ამოგანე**, მომავალში მოსალოდნელია მიმოსვლა, კავშირგაბმულობა და ინფორმაციის გაცვლის სხვა საშუალებები ისე განვითარდეს, რომ თბილისელებმა, შეიძლება, შეძლონ ქუთაისური პურის გამოცხობის გამოცდილების გადმოღება (უხმინოს ღმერთმა და ზოგმა სხვა ვინმემაც!).

● **ზოგიერთი** ჩაის ფაბრიკის დირექტორი ისე შორს წავიდა, რომ საკუთარი ფაბრიკის პროდუქციას არ კადრულობს (თუმცა რა ქნას, როცა პროდუქტი არასაკადრისია?!).

● **დადგება** დრო, როდესაც სასურსათო მაღაზიის გამყიდველთათვის სავალდებულო გახდება დიფერენციალური აღრიცხვისა და მიახლოებითი გამოთვლების ცოდნა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ დიდი მიახლოებით დაიმასხვრონ ბორჯომის წყლისა და ბოთლის ღირებულება (არიან ფენომენები რომლებსაც ეს ახლაც არ ავინწყდებათ!).

● **ერთი** ჩემი ნაცნობი თბილისელი წყალს მაინც მომჭირნედ ხარჯავს (დიაბეტის გამო წყლის დაღება შეზღუდული აქვს!).

● **ზოგიერთი** ფერმა ხორცეულს უხორცოდ ამზადებს — ვარია ძვალი და ტყავია, ღორი ძვალი და ქონია (ეს მიღწევა მიღწეულია არარაციონალური რაციონით!).

**ვარაუდობან:** მეცნიერება და ტექნიკა, შეიძლება, ისე განვითარდეს, რომ ლალიძის წყლები ბოთლებით იყიდებოდეს (თუმცა ეს რომ შესაძლებელი იყოს, ახლა ვინ უშლით?!).

აპოლონ გასილაია

## შუქრეკლამა

ზლაპარ იყო. ზლაპარ იყო... რა ზლაპარი?! — ნამდვილ იყო: გავიხედე, ჩვენს პირდაპირ სახადილო აღარ იყო!.. წარწერისგან — „სახადილო“ — ანათებდა მარტო „ილო“! გავიფიქრე: გამგე ილომ განგებ დაწერა „ილო“, რადგან, ვიცო, გამგე ილო თავისად თვლის სახადილოს! (მაგრამ მაინც გამოაცა ამა საქმემ, სათაქილომ) რად შევცოდე! — თურმე ილო დამნაშავე სულ არ იყო! — გვიან მივხვდი: ელწარწერის ზოგი ასო დამწვარიყო!.. ჩავუყვ გაშვირს, ბევრგან ვნახე ესე საქმე სახადილო! — ზოგან აბრას ერთი ასო შერჩენოდა სამარცხვინოდ!.. ხანი დავყავ, ბევრგან ვთქვი! — არ შეკეთდა მაინც, არა! მივაშურე ლექსიკოლოგს! — გაიხაროს! — გამახარა: მითხრა — „დაო, არ შეშინდე, თუნდაც წაიკითხო „ომი“! შეხვალ „ომში“, შენ დაგვხვდება მშვენიერი გასტრონომი! რაც მე იმან შემასწავლა, გამოგადგოთ თქვენცა, მგონი, აი, ისიც, ალალ თქვენი, ეს პატარა ლექსიკონი: „საშა“, „სალამი“ და „შაქარო“ — ესაა „საშაქარლამო“! „სენელო“ ნიშნავს „ბოსტნეულს“, „ოცი“ და „ც“ კი — „ხორცეულს“! „ათი“, „სურა“ და „სურათი“ სულ უველა — არის „სურსათი“! „რერო“ და „პარერო“ კი არის „საპარიკმახერო“! „ამწვა“, „წვა“, „ადე“ და „მწვადე“ რომ „სამწვადე“, კი ხვდებით, და სხვა ქარაგმას, უოველგვარს, ამის მიხედვით მიხვდებით!

ლალი მარტაშვილი



# ნიანგის ინფორმაცია

პაქცინა

(ნიტელწყარო, ოზანის კოლმეურნეობა)

ცხვარს რომ „ყვავილი“ არ შეხედეს, საჭიროა ვაქცინა!  
პამლეტ ჩალახელაშვილმა პირუტყვს მწარედ დასცინა:  
ვეტექიმმა მხოლოდ აქტივი მოახდინა „აქტივი“!  
მონმეზად დაიყენა სულ ცხვარივით კაცები!

195 923 მანეთი

(წყალტუბო, პატრიკეთის საბჭოთა მეურნეობა)

ინერებოდა ხელფასი — კაცი არ ჩანდა სახეზე!  
ინერებოდა ხელფასი... მიცვალებულთა სახელზე!  
დიხ, გიორგი მირინოვს, მთავარ ბუღალტერს  
სრულიად —  
„მკვდარი სულების“ სიმრავლით ზღვა ფული  
მოუწურია!  
იანგარიშა კანონმა და ბუღალტერი გალურჯდა:  
თანხა, ზევით რომ ვახსენე, 15 წელი დაუჯდა!

„რაკორდი“

(სილნალი)

გარმუნებთ, მსგავსი „რეკორდი“ მოიძებნება  
ძნელად!  
ფხოველიშვილმა თენგიშმა გადააჭარბა ყველას:  
ციხეში შვიდჯერ ჩავარდა, ჭკუაში — ერთხელ ვერა!

პერ აშენდა!

(ამბროლაური, ბუგეული)

შენდება და... წყალმა ჩაიარა ბევრმა!  
მოიკიდა ფეხი ირგვლივ ხავსის ფერმა!  
მეფრინველეობის ვერ აშენდა ფერმა!

„ციცინათელაბი“

(გაგაჭკორი, კინიის კოლმეურნეობა)

ისე, ვით ციციანთელებს, ნათურებს, თითქოს,  
ფრთები აქვთ,  
აქ ყოველ წუთში ისინი ინთებიან და ქრებიან!  
ელექტრობოძებს, მორყეულთ, მსგავსს ქვეყნად  
ვერსად მოძებნით.  
ბოძები თუ არ შეუდგეს, წაიქცევიან ბოძები!

საჩივარი

(მაიაკოვსკი, ჩალხეთი)

მგზავრს, გალუმბულს წვიმაში, ან მზედაკრულს  
ხედავდე.  
გასაკვირი როდია, იგი ჩივილს ბედავდეს!  
„მოსაცდელი არ გვაქვსო!“ — მოვუსმინე მე  
რამდენს! —  
„რაიონის ცენტრიდან სოფელ ჩალხეთამდე!“

კაპიკიც არ ღირს ასეთი  
ასი ათასი მანეთი!


(საგარეჯო, პატარძელის მეფრინველეობის ფაბრიკა)

ფაბრიკას არას ვერჩი მე — უმრავლოს კვერცხიც,  
ვარიაც!  
ამ ფელეტონის დანერა სხვა ობიექტის ბრალია:  
ფაბრიკის მუშებისათვის აქ სასაბუღალტრო აღმართეს!  
იმხელა არის, თუ გნებავს, შიგ რესტორანიც  
გამართე!  
აქ, ახლომახლო შენობა ბევრი როდია ასეთი!  
აგებას მისას დასჭირდა ასი ათასი მანეთი!  
და გაიხარეს მუშებმა, მაშინვე ტაში შემოჰყრეს!  
თუმცაღა მათი ზეიმი აღმოჩნდა ერთობ დღემოკლე:  
დაჰკიდეს დიდი ბოქლომი შენობას ფართოკარიანს  
დუმს სასაბუღალტრო — ეული —

წელიწად ნახევარი აქ  
ვიკითხოთ: რაისაზვერა ამ საქმის კურსში არის კი?!  
ასი ათასი რომ დაჯდა, შენობა თუ ღირს კაპიკიც?!  
თავკაცო, გულიკაშვილო, მუშახელს ხელში რად  
იკლავ?!  
თუკი ფაბრიკა თქვენ გკვებავთ, თქვენ რად არ  
კვებავთ ფაბრიკას?!  
გაიოზ შავერაშვილი  
„ნიანგის“ კორესპონდენტი

35 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ოქრო და ალ-  
მასები გააქვთ ვენესუელადან ყოველწლიურად ამერიკის „ნუ-  
ვას ტრიბუნის“ მისიონერებს, რაც ქვეყნის საზოგადოებრიობის  
აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს.

ეროვნული  
გაზეთებიდან  
ბიზლიოთეკა



ბ. შორაძე

მილიონარი მისიონერები

## პ ა რ ქ შ ი

მილიციელი: ახალგაზრდა! გადაიხადეთ ჯარიმა — ერთი მანეთი!

ახალგაზრდა: რისთვის?!

მილიციელი: თქვენ დაარღვიეთ წესრიგი — საზოგადოების თავშეყრის ადგილზე აკოცეთ ქალიშვილს!

ახალგაზრდა: მაპატიეთ! ინებეთ!

მილიციელი: მიიღეთ ქვითარი და ხურდა ოთხი მანეთი!

ახალგაზრდა: თუ შეიძლება, ხურდა არ მინდა, დანარჩენისაც ქვითრები მომეცით!..

## ოქროს ხელი

— ამხანაგებო! ამ კაცს უნდა მივცეთ ბინა!  
— ეგ კაცი გუშინ მოვიდა ჩვენთან სამუშაოდ!  
— სამაგიეროდ, ოქროს ხელი აქვს!  
— რომელი ხელი?! მარჯვენა?! პროთეზია, ბატონო!  
— არა აქვს მაგას მნიშვნელობა!.. გაიხსენეთ ნელსონი, კუტუზოვი, მერესიევი, სკოროხოდოვა!..  
— აუ!.. რამდენ კაცს ჰქონია ბინა მისაღები?! ჩვენ როდისღა მოგვიწევს რიგი?!

გაგლარ ნოზაძე



7-82

82-356

ნ.ბ. ზ. ფირცხალაშვილი

— ორი სული ხართ ოჯახში და მესამე სართული რისთვის და-  
აგებეთ?  
— რა გეძნა, გენაცვალე, სახურავიდან წყალი ჩამოგდითოდა..



საბირისა და იუმორის  
ჟურნალი „ნიანგი“  
№ 10 (1620) მარტი  
გამოცემის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლჭვაძე

სარედაქციო  
კოლეგია:  
ზაურ ამირაჯიბი,  
ნოზა ბარბაქაძე,  
გორის გურგულია,  
ნოდარ ღუმბაძე,  
რეზა თვარაძე,  
ჯემალ ლომია,  
ნოდარ მაღალაშვილი  
(მხატვარი-რედაქტორი),  
ალექსანდრე სამოსია,  
გურამ სიხარულიძე  
(მასშტაბების მდივანი),  
გიგლა ფირცხალაშვილი,  
ჯანსუღ ჩარკვიანი,  
თამაზ წიგნაშვილი,  
ვაჟა ზანიშვილი  
(მთავარი რედ. მოადგილე),  
ნაფი ჯუსიძე.

ტექნიკური რედაქტორი  
მინილ კუხალაშვილი

გადამცემი ასაწეობად  
30. 4. 82 წ.  
ხელმოწერილია დასაბამად  
28. 5. 82 წ.  
ვალდის ზომა 70x100  
ფორმატი ნაბეჭდი  
ფურცელი 1  
საბეჭდო-სამაგონო-სამაგონო  
თაბახი 1,7  
საქართველოს კ.ბ.ს.  
გამომცემლობა  
ლენინის ქ. №14,  
შეკეთა № 1144 უფ. 07270  
ტირაჟი 148.950.  
ეურნალი გამოცემის  
ი.ველი ორჯერ.  
რედაქციაში შემოსული  
მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:  
380008, თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი, № 42.  
ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54, მთ.  
რედ. მოადგილის — 93-19-42.  
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხა-  
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,  
განყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტერატურ-  
ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-  
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)  
Тбилиси, пр. Руставели № 42.  
Издательство ЦК КП Грузии  
Типография Издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი  
ინდექსი 76137

